საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030144414396519

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4046 **11 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შტატით გათვალისწინებულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების დასაფინანსებლად ესაჭიროება „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი)“ პროგრამის (პროგრამული კოდი- 27 01 04 01) ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, „შრომის ანაზღაურების“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე. ასევე, გურიის სამხარეო ცენტრის კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად მიმდინარე კვარტალში ესაჭიროება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, რომელიც საჭიროა განხორციელდეს „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი - 27 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებების შესაბამისად.

ასევე, სააგენტოს „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-27 02 01) პროგრამისა და „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-27 02 02) პროგრამის ფარგლებში რეგულარულად უწევს აღსრულების ეროვნული ბიუროს და სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებების საფუძველზე დაკისრებული თანხების გადახდა. დაკისრებული ვალდებულებების დროულად გადახდის მიზნით საჭიროა ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31- ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური